



2022 წელს თავს დატეხილი გლობალური გამოწვევები იდეალური გამოცდა აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკის მდგრადობისთვის

ავტორები: იაროსლავა ბაბიჩი, არჩილ ჩაფიჩაძე, ნინო სარიშვილი


შეჯამება

2022 წლის მე-3 კვარტალმა არაერთი გლობალური ცვლილებით დაგვამახსოვრა თავი. მიმდინარე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური არეულობის გამო, ინფლაციამ ათწლეულების განმავლობაში არსებულ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, მსოფლიო ეკონომიკა კი კვლავ არასტაბილურია. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ, შეერთებული შტატების [ეკონომიკის არასტაბილურმა](#) აღდგენამ (რაც ხასიათდებოდა გაზრდილი ინფლაციით, რთული ფინანსური პირობებით და 2022 წელს მოსალოდნელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის შემცირებით), ევროზონაში წარმოშობილმა [ეკონომიკურმა საფრთხეებმა](#) (ენერგოუსაფრთხოება, გაზრდილი ცხოვრების ხარჯები და ზრდის მაჩვენებლის შემცირება) და ჩინეთში COVID-19-ის აფეთქებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ (IMF) დადგენილი მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შემცირება განაპირობა. IMF 2022 წელს 3.2%-იან, 2023 წელს კი 2.7%-იან ზრდას პროგნოზირებს. გასულ წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 6% იყო ([IMF, ოქტომბერი 2022](#)). ეს 2001 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი ზრდის მაჩვენებელია (2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის და COVID-19-ის პანდემიის კრიტიკული ფაზის შემდეგ).

გლობალური გამოწვევების მიუხედავად, აღნიშნულს ჯერჯერობით მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია საქართველოზე, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე. 2022 წელს საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ზომიერი ზრდაა მოსალოდნელი: სომხეთში (+7 წლიური პპ), აზერბაიჯანში (+3.7 წლიური პპ), თურქეთში (+5 წლიური პპ). მეორე მხრივ, მოსალოდნელია რუსეთის ეკონომიკური მაჩვენებლის წლიური 3.4 პროცენტული პუნქტით შემცირება, რაც წინა პროგნოზთან შედარებით გაზრდილი კლების მაჩვენებელია. შემცირდა განვითარებადი ბაზრების ეკონომიკის (EMDE) ქვეყნების მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებელიც და ამჟამად წლიურ 3.7%-ს შეადგენს, 2021 წლის 6.6%-იანი ზრდის ფონზე ([IMF, ოქტომბერი 2022](#)).

მიმდინარე წელს, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ ოპტიმისტურია. [საქსტატის მთლიანი შიდა პროდუქტის \(მშპ\) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასებით](#), სამომხმარებლო მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლის გამო, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2022 წლის მე-3 კვარტალში 9.8% შეადგინა. ეს, უმეტესწილად, საქართველოში მეზობელი ქვეყნების მოქალაქეების გაზრდილი შემოდინებით და ფულადი გზავნილების გაზრდილი მოცულობით იყო გამოწვეული. ეროვნული ბანკის პროგნოზირებული რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 9%-დან 10%-მდე დაკორექტირდა ([სებ, 2022 წლის ოქტომბერი](#)).

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2022 წლისთვის წლიურ 10.8%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 1) ([ნოემბერი 2022](#)), რაც წინა თვის პროგნოზზე (13.8%) ნაკლებია ([ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2022 წლის ოქტომბერი](#)). შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელიც და 2022 წლის ნოემბერში წლიური 10.4% შეადგინა ([საქსტატი, 2022 წლის დეკემბერი](#)).



ინფლაცია

2022 წლის მე-2 კვარტალში სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) საშუალო კვარტალური ინფლაცია 11.3%-ს შეადგენდა, რაც 8.3 პროცენტული პუნქტით აღემატება მიზნობრივ 3%-ს ([საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022](#)). საქსტატის 2022 წლის მონაცემები მიუთითებს, რომ ინფლაციის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს შორის იყო ტრანსპორტის ფასების ზრდა წლიური 16.8%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 2.2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს); სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები წლიური 16.6%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 5.3 პროცენტულ პუნქტს შეადგენს); კომუნალური გადასახადები, წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვა საწვავი – წლიური 12.6%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 1.1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს).

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ შოკური ეფექტი იქონია გლობალურ სასაქონლო ბაზარზე. ომის დაწყებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ისეთი საქონლის წარმოება და ვაჭრობა, რომლის მთავარი ექსპორტიორებიც უკრაინა (მარცვლეული და ზეთოვანი კულტურები), ბელარუსი (სასუქები) და რუსეთი (ენერგორესურსები და მარცვლეული) იყვნენ. მსოფლიო ბანკის [სასაქონლო ბაზრების პროგნოზის](#) თანახმად (ოქტომბერი, 2022), 2022 წლის მე-2 კვარტალში სურსათის ფასების არსებული პიკური მაჩვენებლები შემცირდა, მიუხედავად ამისა, ომის გაგრძელებამ შესაძლოა შეცვალოს 2023 და 2024 წლებში ფასების შემცირების პროგნოზი.

პოსტპანდემიური პერიოდისა და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენასთან ერთად, საქართველოში შემოდინებული მიგრანტების პირველმა ტალღამ ზეწოლა მოახდინა ქვეყნის შიგნით საქონლის ფასებზე. საქართველოში რუსი და უკრაინელი მიგრანტების გაზრდილმა შემოდინებამ გაზარდა ეკონომიკური აქტივობა და მოთხოვნის თვალსაზრისით დამატებითი ინფლაციური ზეწოლა



წარმოშვა. [საქართველოს ეროვნული ბანკის უახლესი პროგნოზის](#) თანახმად, აღნიშნული ზეწოლა ნაწილობრივ დაბალანსდა ლარის კურსის გამყარებით, რამაც გამოიწვია იმპორტირებული საქონლის ფასების შემცირება. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზრებზე შეინიშნება სურსათის ფასების შემცირება ([სასაქონლო ბაზრების პროგნოზი, 2022](#)), რაც იძლევა იმედს, რომ 2023 წლის მეორე ნახევრიდან, მიმდინარე მკაცრი მონეტარული პოლიტიკა და მიწოდებასთან დაკავშირებული შოკური ეფექტების შემცირება თანდათან გამოიწვევს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებას. არსებული რისკების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი დღემდე ინარჩუნებს მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ([მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2022](#)).

გარე სექტორი: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური შენელების მიუხედავად, 2022 წლის მე-3 კვარტალში გაზრდილი საგარეო მოთხოვნა დაფიქსირდა.

2022 წლის მ-3 კვარტალში საქართველოს საგარეო ვაჭრობა წლიური 34.4%-ით გაიზარდა, რაც გაზრდილი ექსპორტითა და იმპორტით იყო გამოწვეული ([საქსტატი, 2022](#)). გაიზარდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და 2,037 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული ზრდის ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორი საბაზო ეფექტი არ არის.

საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიური 40.5%-ით გაიზარდა ([საქსტატი, 2022](#)). ეროვნული ბანკის ([2022 წლის ოქტომბერი](#)) თანახმად, ამგვარი ზრდა, ძირითადად, ექსპორტირებული საქონლის ფასების ზრდით იყო განპირობებული. ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო გაზრდილი ექსპორტით სომხეთში (წლიური +9.09 პროცენტული პუნქტი ზრდის მთლიან მაჩვენებელში) (ავტომობილებით და მინერალური წყლებით გაზრდილი ვაჭრობის გამო), რუსეთში (წლიური +4.95 პპ), ბულგარეთში (წლიური +4.22 პპ), აზერბაიჯანში (წლიური +4.16 პპ), აშშ-ში (წლიური +3.95 პპ), ყაზახეთში (წლიური +3.7 პპ) და, რაც ყველაზე მოულოდნელია, – უკრაინაში (წლიური +3.06 პპ). შეიარაღებული კონფლიქტის მიუხედავად, უკრაინაში განხორციელებული ექსპორტი მე-3 კვარტალში წლიური 43%-ით გაიზარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 კვარტალი გამონაკლისი იყო, რადგან უკრაინასთან ვაჭრობის მაჩვენებელი 2022 წლის პირველ ნახევარში წლიური 37%-ით შემცირდა, 2022 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში კი – 63%-ით.

მე-3 კვარტალში ექსპორტის ამგვარი ზრდა განპირობებული იყო შუალედური საქონლის გაზრდილი ექსპორტით ([სებ. ოქტომბერი 2022](#)). მნიშვნელობით მეორე ადგილზეა საინვესტიციო საქონლის გაზრდილი ექსპორტი. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო ავტომანქანების გაზრდილი რეექსპორტით (ძირითადად უკრაინაში, სომხეთსა და რუსეთში). ავტომობილების ექსპორტი 142%-ით გაიზარდა და საქონლის ექსპორტის ზრდაში წლიური +16.3 პპ წვლილი შეიტანა. ექსპორტის ზრდის მთლიან მაჩვენებელში ავტომობილების ექსპორტის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სპილენძის ნედლეულის და კონცენტრატების ექსპორტი (წლიური +3.6 პპ) (ბულგარეთში ექსპორტის გამო) და ელექტროენერჯის ექსპორტი (წლიური +2.67 პპ) .

იმპორტი წლიური 32%-ით გაიზარდა ([საქსტატი, 2022](#)), რაც გამოწვეული იყო მზარდი ეკონომიკური



აქტივობითა და გაზრდილი შიდა მოთხოვნით. იმპორტის ღირებულების ზრდას ხელი შეუწყო მსოფლიო ფასების ზრდამაც აშშ დოლარში ([სებ. ოქტომბერი 2022](#)). იმპორტის გაზრდილი მაჩვენებელი, უმეტესწილად, გამოწვეული იყო გაზრდილი იმპორტით რუსეთიდან (წლიური +10.5 პპ), რომლის კონტრიბუცია აღემატება ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი იმპორტის კონტრიბუციას (წლიური + 6.9 პპ). 2022 წლის მე-2 კვარტალში, მიმდინარე ომის გამო, უკრაინიდან იმპორტი 42%-ით შემცირდა. რეგიონის ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლები კი შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი (წლიური +6.38 პპ) და სომხეთი (წლიური +2.12 პპ) (რუსეთის შემდეგ, იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ამ ქვეყნებს მიუძღვის). აზერბაიჯანიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებელი კი წლიური 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. იმპორტის ზრდაში წვლილი შეიტანა გაზრდილმა იმპორტმა აშშ-დან (წლიური 2.8 პპ), რუმინეთიდან (წლიური 2.71 პპ) და ჩინეთიდან (წლიური 4.59 პპ).

იმპორტის ზრდაში მთავარი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტმა. აღნიშნულ კატეგორიაში, მთავარი კონტრიბუტორები ნავთობპროდუქტები (წლიური +7.24 პპ) და ავტომობილებია (წლიური +7.12 პპ). შუალედური საქონლის შემთხვევაში კი ხორბლის და ჭკვავის ფქვილი (წლიური +0.67 პპ), ძვირფასი ლითონის შენადნობები და კონცენტრატები (წლიური +0.65 პპ).

უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, 2022 წლის მე-3 კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა წლიური 162%-ით გაიზარდა და 1.9 მილიონი ვიზიტი შეადგინა, რაც 2021 წლის განმავლობაში რეგისტრირებული საერთაშორისო ვიზიტების მთლიან რაოდენობაზე (1.7 მილიონი) მეტია ([GNTA, 2022](#)). ვიზიტორების 45%-ზე მეტი რუსეთიდან (წლიური +443%) და სომხეთიდან (წლიური +438%) შემოვიდა. საერთაშორისო ვიზიტორების გაზრდილმა რაოდენობამ დადებითი გავლენა იქონია საერთაშორისო მოგზაურების მიერ გენერირებულ შემოსავალზეც, რომელმაც 1.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა ([სებ, 2022](#)).

საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობამ 1.03 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა ([სებ, 2022](#)). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი 2022 წლის მე-2 კვარტალში დაფიქსირებულ გზავნილების მაჩვენებელზე დაბალია, იგი 65%-ით აღემატება 2021 წლის მე-3 კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელს. მე-2 კვარტლის მსგავსად, ფულადი გზავნილების ზრდაში მთავარი წვლილი რუსეთიდან შემოდინებულმა გზავნილებმა შეიტანა, რომელიც წლიური 231%-ით გაიზარდა (წლიური 43.2 პპ ზრდის მთლიან მაჩვენებელში). რუსეთის შემდეგ ფულადი გზავნილების ზრდაში მთავარი კონტრიბუტორები იყვნენ: ყირგიზეთი (წლიური +5.47 პპ), სომხეთი (წლიური +4.89 პპ), და ბელარუსი (წლიური +4.89 პპ). როგორც მოსალოდნელი იყო, ფულადი გზავნილები უკრაინიდან წლიური 99%-ით შემცირდა, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია სწრაფი ფულადი გზავნილების მაჩვენებელზე (წლიური -3.66 პპ). ფულადი გზავნილები შემცირდა აზერბაიჯანიდან (წლიური -36 %) და საბერძნეთიდანაც (წლიური -6 %).

2022 წლის მე-3 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 745.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც თითქმის 100%-ით მეტია 2021 წლის მე-3 კვარტლის მაჩვენებელზე ([საქსტატი, 2022](#)). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმრავლესობა განხორციელდა უძრავი ქონების (35.6%), ფინანსურ (13.5%), სადაზღვეო (21.3%), ხელოვნებასთან, გართობასა და



რეკრეაციასთან დაკავშირებულ სექტორებში (19.2%), აგრეთვე საწარმოო (5.1%) სექტორში. საქართველოში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ესპანეთიდან (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.3%), დიდი ბრიტანეთიდან (16.4%) და ირლანდიიდან (16.1%) განხორციელდა.

საჯარო ფინანსები

ნაერთ ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 4.46 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15.4%-ით მეტია ([ფინანსთა სამინისტრო, 2022](#)). ზრდა ძირითადად განპირობებული იყო საშემოსავლო, მოგებასა და კაპიტალზე (წლიური +34.4%) დაწესებული გადასახადებით მიღებული გაზრდილი შემოსავლებით, საქონელზე და მომსახურებებზე დაწესებული გადასახადებით (წლიური +21.0%) და სხვა შემოსავლებით (წლიური + 25.5%). მიმდინარე სამთავრობო ხარჯები 2022 წლის მე-3 კვარტალში 7.2%-ით გაიზარდა და 3.98 მილიარდი ლარი შეადგინა. ასეთი ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო გაზრდილი “სხვა ხარჯებით” (წლიური +33.1 პპ) და დასაქმებულთა ანაზღაურებით (წლიური +13 პპ). გარდა ამისა, არაფინანსური აქტივების შემენის წილი მე-3 კვარტალში 38.8%-ით გაიზარდა და 1.25 მილიარდი ლარი შეადგინა. მე-3 კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტმა 768.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც ხარჯების გაზრდით იყო განპირობებული. დეფიციტის მაჩვენებელი 3,1%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

მთავრობის სავალო ვალდებულებები (რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 4.0%-ით შემცირდა და 26,9 მილიარდი ლარი შეადგინა ([საქსტატი, 2022](#)). ეს სავარაუდოდ განპირობებული იყო ლარის გამყარებით აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით. გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 77,9%-დან 75.2%-მდე შემცირდა.